

კანონპროექტისათვის „საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ (07-2/3, 30.11.16)

კანონპროექტის მიზანია, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემოსულობების ნაწილში მისაღები საგადასახადო შემოსავლების უზრუნველყოფა. აგრეთვე საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული და სხვა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული კანონპროექტით იზრდება აქციზის განაკვეთი ზოგიერთ საქონელზე, რითაც ერთის მხრივ, მიღწეული იქნება ფისკალური ეფექტი და საბიუჯეტო სტაბილურობა, მეორეს მხრივ გაძლიერდება აქციზის მარეგულირებელი ფუნქცია.

ფაქტობრივი ცნობა

აქციზის გადასახადის განაკვეთები საზღვარგარეთის ქვეყნებში

აქციზის გადასახადის განაკვეთი ავტომობილის იმპორტზე

ევროკავშირის ზონაში შემავალ ქვეყნებში ავტომობილის ყიდვისას ავტომობილის განბაჟება არაა საჭირო. განბაჟება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილი ნაყიდა ევროკავშირის ზონის გარეთ. ასეთ შემთხვევაში, ავტომობილის განბაჟებისას მყიდველი იხდის დღგ-ს და საბაჟო მოსაკრებელს, რომელიც ავტომობილის ღირებულებიდან გამოითვლება. მთლიანობაში, ავტომობილის ფასი იმატებს 30%-ით, ამიტომ იშვიათია ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან ავტომობილის იმპორტი.

სხვა მდგომარეობაა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, სადაც მეორადი ავტომობილების იმპორტი მომგებიან ბიზნესად არის ქცეული.

ქვემოთ განვიხილავთ ამ ქვეყნებში აქციზის გადასახადს ავტომობილებზე, ქვეყნების მიხედვით:

რუსეთი

რუსეთში ავტომობილის განბაჟებისას მყიდველი იხდის საბაჟო მოსაკრებელს ავტომობილის უტილიზაციისთვის, საბაჟო გაფორმების გადასახადს, აქციზს და, თუ იმპორტიორი იურიდიული პირია, დღგ-ს. რუსეთში მეორადი ავტომობილის იმპორტირებისას, სავალდებულოა ავტომობილი აკმაყოფილებდეს „ევრო-5“-ის ეკოლოგიურ ნორმას. რუსეთში იმპორტირებული მეორადი ავტომობილების ასაკობრივი კატეგორიებია:

- ავტომობილები 1-3 წლის;
- ავტომობილები 3-5 წლის;
- ავტომობილები 5-7 წლის და ზემოთ.

ყველა კატეგორიას შეესაბამება თავისი საბაჟო ტარიფები და კოეფიციენტები, რომლებიც ძრავის მოცულობასთან არის კავშირში, გარდა 3 წლამდე ავტომობილებისა.

3 წლამდე ავტომობილების ტარიფი დამოკიდებულია ავტომობილის ღირებულებაზე. მაგალითად, ავტომობილი, რომლის ღირებულებაც 8500 ევრომდეა, საბაჟო მოსაკრებელი შეადგენს ავტომობილის ღირებულების 54%-ს, მაგრამ არანაკლებ 2,5 ევროსი ავტომობილის ძრავის 1 კუბურ სანტიმეტრზე.

3 წლამდე ავტომობილები:

საბაჟო ღირებულება (ევრო)	გადასახადის განაკვეთი
8500 ევროზე ნაკლები	ღირებულების 54%, მაგრამ არანაკლებ 2,5 ევრო 1 კუბურ სანტიმეტრზე
8500 -16700 ევრო	48%, მაგრამ არანაკლებ 3,5 ევრო 1 სმ ³ -ზე
16700-42300 ევრო	48%, მაგრამ არანაკლებ 5,5 ევრო 1 სმ ³ -ზე
42 300 -84 500 ევრო	48%, მაგრამ არანაკლებ 7,5 ევრო 1 სმ ³ -ზე
85500 – 169 000 ევრო	48%, მაგრამ არანაკლებ 15 ევრო 1 სმ ³ -ზე
169 000 ევროზე მეტი	48%, მაგრამ არანაკლებ 20 ევრო 1 სმ ³ -ზე

3-5 წლის ავტომობილები

ძრავის მოცულობა, კუბური სანტიმეტრი	გადასახადის განაკვეთი
0-1000	1,5 ევრო 1 სმ ³ -ზე
1001-1500	1,7 ევრო 1 სმ ³ -ზე
1501-1800	2,5 ევრო 1 სმ ³ -ზე
1801 - 2300	2,7 ევრო 1 სმ ³ -ზე
2301 – 3000	3 ევრო 1 სმ ³ -ზე
3001 და მეტი	3,6 ევრო 1 სმ ³ -ზე

5-7 და მეტი წლის ავტომობილები

ძრავის მოცულობა, კუბური სანტიმეტრი	გადასახადის განაკვეთი
0-1000	3 ევრო 1 სმ ³ -ზე
1001-1500	3,2 ევრო 1 სმ ³ -ზე
1501-1800	3,5 ევრო 1 სმ ³ -ზე
1801 - 2300	4,8 ევრო 1 სმ ³ -ზე
2301 – 3000	5 ევრო 1 სმ ³ -ზე
3001 და მეტი	5,7 ევრო 1 სმ ³ -ზე

ბელორუსია

ბელორუსიაში, რუსეთის მსგავსია აქციზი, რადგან ქვეყანა მიერთებულია საბაჟო კავშირს.

უკრაინა

უკრაინაში 2016 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შევიდა კანონი მეორად ავტომობილებზე აქციზის შემცირების თაობაზე. ამ ცვლილების თანახმად, მეორად ავტომობილებზე ფასი საშუალოდ რამდენიმე ათასი ევროთი შემცირდა. მეორადი ავტომობილი უნდა იყოს გამოშვებული 2010 წლის შემდეგ, უნდა აკმაყოფილებდეს „ევრო-5“ ეკოლოგიურ ნორმას და არ უნდა იყოს წარმოებული ოკუპანტი-აგრესორის ტერიტორიაზე (ანუ რუსეთში).

ამჟამად მოქმედი ნორმებია:

ძრავის ტიპი	ევრო ძრავის 1 კუბურ სანტიმეტრზე	ცვლილებამდე არსებული გადასახადის განაკვეთი ავტომობილის წლოვანების მიხედვით (ახალი, 5 წლამდე, 5 წლის ზევით)
ბენზინის ძრავიანი		
1000 კუბურ სანტიმეტრამდე	0, 102	0,102 -1,094-1,438
1000-1500 კუბური სანტიმეტრამდე	0,063	0,083-1,367-1,761
1500-2200 კუბურ სანტიმეტრამდე	0,267	0,267-1,643-2,441
2200-3000 კუბურ სანტიმეტრამდე	0,276	0,276-2,213 -4,985
3000 და მეტი კუბური სანტიმეტრი	2,209	2,209-3,329-4,985
დიზელის ძრავიანი		
1500 კუბურ სანტიმეტრამდე	0,103	0,103-1,367-1,761
1500-2500 კუბურ სანტიმეტრამდე	0,327	0,327-1,923-2,209
2500 და მეტი კუბური სანტიმეტრი	2,209	2,209 - 2,779-4,715

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანში 2014 წელს მიიღეს ახალი კანონი მეორადი ავტომობილების განბაჟების თაობაზე, რომლის თანახმადაც სავალდებულოა იმპორტირებული ავტომობილი იყოს 2005 წლის შემდეგ გამოშვებული და აკმაყოფილებდეს „ევრო 4“-ის ეკოლოგიურ ნორმას. აქციზი დამოკიდებულია ავტომობილის ძრავის მოცულობაზე.

ძრავის მოცულობა კუბური სანტიმეტრი	გადასახადის განაკვეთი
0 - 2000 -მდე	0,2 მანათი 1 სმ ³ -ზე (0,1 ევრო)
3000 -მდე	400 მანათი + 1 მანათი 1 სმ ³ -ზე (213 ევრო + 0,53 ევრო 1 სმ ³ -ზე)
4000 -მდე	1900 მანათი + 4 მანათი 1 სმ ³ -ზე (1010 ევრო + 2,1 ევრო 1 სმ ³ -ზე)
5000 -მდე	5900 მანათს + 8 მანათი 1 სმ ³ -ზე (3135 ევრო + 4,2 ევრო 1 სმ ³ -ზე)

5000 -ზე მეტი	13900 მანათი + 10 მანათი 1 სმ ³ -ზე (7387 ევრო + 5,31 ევრო 1 სმ ³ -ზე)
---------------	----------------------------------------------------------------------------------------------

მოლდავეთი

მოლდავეთში იმპორტირებული მეორადი ავტომობილის აქციზის გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია ავტომობილის ძრავის მოცულობასა და გამოშვების წელზე. აკრძალულია 10 წელზე ძველი ავტომობილების იმპორტი. 2017 წლიდან იგეგმება აქციზის გადასახადის შემცირება.

ამჟამად მოქმედი გადასახადის განაკვეთი განსაზღვრულია პოპულარული მოდელების მიხედვით.

მარკა	პოპულარული მოდელი	ძრავის მოცულობა 1 სმ ³	0-7 წლის	7 -10 წლის
Dacia	Logan	1400	17 ათასი ლეი (786 ევრო) (0,05 ევრო 1 სმ ³ -ზე)	20000 ლეი (925 ევრო) (0,04 ევრო 1 სმ ³ -ზე)
Chevrolet	Aveo	1400	17 ათასი ლეი (786 ევრო) (0,5 ევრო 1 სმ ³ -ზე)	20000 ლეი (925 ევრო)
Hyundai	Tucson	2000	63 ათასი ლეი (2900 ევრო) (1,45 ევრო 1 სმ ³ -ზე)	73 ათასი ლეი (3374 ევრო) (1,68 ევრო 1 სმ ³ -ზე)
Volkswagen	Passat	2000	63 ათასი ლეი (2900 ევრო) (1,45 ევრო 1 სმ ³ -ზე)	73 ათასი ლეი (3374 ევრო) (1,68 ევრო 1 სმ ³ -ზე)
Toyota	RAV 4	2400	75 ათასი ლეი (3467 ევრო) (1,45 ევრო 1 სმ ³ -ზე)	87 ათასი ლეი (4020 ევრო) (1,67 ევრო 1 სმ ³ -ზე)
BMW	X5	3000	250 ათასი ლეი (11555 ევრო) (3,85 ევრო 1 სმ ³ -ზე)	250 ათასი ლეი (11555 ევრო) (3,85 ევრო 1 სმ ³ -ზე)
Land Rover	Range Rover	3000	250 ათასი ლეი (11555 ევრო) (3,85 ევრო 1 სმ ³ -ზე)	250 ათასი ლეი (11555 ევრო) (3,85 ევრო 1 სმ ³ -ზე)
Mercedes-Benz	S-Klasse	3500	292 ათასი ლეი (13500 ევრო) (3,85 ევრო 1 სმ ³ -ზე)	292 ათასი ლეი (13500 ევრო) (3,85 ევრო 1 სმ ³ -ზე)

სომხეთი

სომხეთში ავტომობილის იმპორტირებისას აქციზის გადასახადი არ არსებობს. გადაიხდება დღგ, საბაჟო მოსაკრებელი და ეკოლოგიის გადასახადი. მაგალითად, 9 წლამდე ავტომობილის განბაჟებისას, რომლის საბაჟო ღირებულება 10 ათასი ევროა, დღგ-არის 2200 ევრო (ანუ 22%), საბაჟო მოსაკრებელი - 1000 ევრო (10%), ეკოლოგიის გადასახადი - 200 ევრო (2%), რაც მთლიანობაში ავტომობილის ღირებულების 34 %-ია.

მიუხედავად იმის, რომ 2015 წელს სომხეთი მიუერთდა საბაჟო კავშირს, კავშირში მოქმედი განბაჟების სისტემა ამოქმედდება სომხეთში 2020 წლიდან.

გადასახადი საკუთრებაში მყოფ ავტომობილებზე ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებში

ევროკავშირის ქვეყნებში ავსტრიაში, ხორვატიაში, დანიაში, გერმანიაში, საბერძნეთში, ირლანდიაში, მალტაში, პორტუგალიაში, რუმინეთსა და სლოვენიაში საკუთრებაში არსებულ ავტომობილებზე წლიური გადასახადი დიფერენცირებულია და დამოკიდებულია ნახშირორჟანგის გამოყოფაზე გრამი/კილომეტრზე და საწვავის მოხმარებაზე ლიტრი/კილომეტრზე. **სომხეთსა და რუსეთში** ავტომობილზე გადასახადი განისაზღვრება ძრავის სიმძლავრის მიხედვით, ხოლო **უკრაინასა და ბელორუსიაში** კი ავტომობილის წლოვანების მიხედვით.

ავსტრიაში ავტომობილზე წლიური გადასახადი განისაზღვრება: (გამოყოფილ ნახშირორჟანგს [გრამი/კმ]-90)/5, რაც შეადგენს საშუალოდ 400 ევროს.

ხორვატიაში ავტომობილის გადასახადი შეადგენს მისი ღირებულების 1,5% იმ შემთხვევაში, თუ ნახშირორჟანგის გამოყოფა ხდება 100გრამ/კმ-დან 300 გრამ/კმ-მდე, ხოლო 300 გრამ/კმ-ზე ზევით ნახშირორჟანგის გამოყოფაზე მისი ღირებულების 31%-ს.

დანიაში ავტომობილებზე წლიური გადასახადი განისაზღვრება საწვავის მოხმარებისა და სახეობების მიხედვით. ბენზინზე მომუშავე ავტომობილებისთვის გადასახადის განაკვეთი ვარირებს 78 ევროდან (20 კმ-ზე 1ლიტრის მოხმარების შემთხვევაში) 2700 ევრომდე (4.5კმ-ზე 1ლიტრის მოხმარების შემთხვევაში). დიზელზე მომუშავე ავტომობილებისათვის გადასახადი მერყეობს 32 ევროდან (31 კმ-ზე 1ლიტრის მოხმარების შემთხვევაში) 4081 ევრომდე (5 კმ-ზე 1ლიტრის მოხმარების შემთხვევაში).

გერმანიაში ავტომობილებზე წლიური გადასახადის განაკვეთი არის 2 ევრო გამოყოფილი ნახშირორჟანგის თითოეულ გრამ/კმ-ზე (95გრამ/კმ-ზე ზევით), ხოლო ამ მაჩვენებელზე ქვევით თავისუფლდება გადასახადისაგან.

საბერძნეთში ავტომობილებზე წლიური გადასახადი მერყეობს 0.90 ევროდან (91-100გრამი/კმ-ს ნახშირორჟანგის გამოყოფის შემთხვევაში) 3.72 ევრომდე (100გრამი/კმ-ზე მეტის შემთხვევაში), ხოლო 90 გრამი/კმ-ზე ნაკლები ნახშირორჟანგის გამოყოფის შემთხვევაში თავისუფლდება გადასახადისაგან.

ირლანდიაში აღნიშნული გადასახადი ვარირებს 120 ევროდან 2,350 ევრომდე, რომელიც დამოკიდებულია ნახშირორჟანგის გამოყოფის რაოდენობაზე.

სლოვენიაში გადასახადი განისაზღვრება ავტომობილის ფასისა და გამოყოფილი ნახშირორჟანგის რაოდენობის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ ბენზინზე მომუშავე ავტომობილი გამოყოფს 110 გრამ ნახშირორჟანგს კილომეტრზე, მაშინ გადასახადი შეადგენს ავტომობილის ღირებულების 0,5%-ს. იგივე რაოდენობის ნახშირორჟანგის გამოყოფისას დიზელის ავტომობილის გადასახადი არის მისი ღირებულების 1%. ხოლო თუ ბენზინზე მომუშავე ავტომობილი გამოყოფს 250 გრამ ნახშირორჟანგს კილომეტრზე, გადასახადი ავტომობილის ღირებულების 28%-ის ტოლია და დიზელის შემთხვევაში კი 31%-ის.

მალტაში წლიური გადასახადი ავტომობილზე შეადგენს 100 ევროს 100 გრამი/კმ-ზე ნახშირორჟანგის გამოყოფის შემთხვევაში, ხოლო ამ მაჩვენებელზე ზევით 150 გრამ/კმ-დან 180 გრამ/კმ-მდე გადასახადი 180 ევროა.

სომხეთში სატრანსპორტი საშუალება, რომლის მგზავრთა რაოდენობა არ აღემატება 10-ს, წლიური გადასახადი შემდეგნაირად გამოითვლება:

1. თუ ავტომობილის სიმძლავრე არის 1-120მდე ცხენის ძალა, გადასახადია 200 დრამი (0,38 ევრო) თითოეულ ცხენის ძალაზე;
2. 121-250 ცხენის ძალის სიმძლავრისას - 300 დრამი (0,58 ევრო) ყოველ ცხენის ძალაზე, ასავე დამატებით 1000 დრამი (1,92 ევრო) ყოველ ცხენის ძალაზე, რომელიც 150 ცხენის ძალას აჭარბებს;
3. 251 და მეტი ცხენის ძალის სიმძლავრისას - 500 დრამი (0,96 ევრო) ყოველ ცხენის ძალაზე, ასევე დამატებით 1000 დრამი (1,92 ევრო) ყოველ ცხენის ძალაზე, რომელიც 150 ცხენის ძალას აჭარბებს;

რუსეთში ტრანსპორტზე ქონების გადასახადი რეგულირდება საგადასახადო კოდექსით. სატრანსპორტო გადასახადი რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის განსხვავებულია, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს საგადასახადო კოდექსში გაწერილი ნორმებს 10-ჯერ. სატრანსპორტო გადასახადი გამოითვლება ავტომობილის სიმძლავრის მიხედვით.

მოსკოვში, სატრანსპორტო გადასახადის მაქსიმუმია დაწესებული. კერძოდ: 100 ცხენის ძალამდე ავტომობილზე გადასახადია 12 რუბლი (0,17 ევრო) ყოველ ცხენის ძალაზე; 100-125 ცხ.ძ. – 25 რუბლი (0,36 ევრო); 125-150 ცხ.ძ. – 35 რუბლი (0,51 ევრო); 150-175 ცხ.ძ. – 45 რუბლი (0,65 ევრო); 175 – 200 ცხ.ძ. – 50 რუბლი (0,73 ევრო); 200-225 ცხ.ძ. – 65 რუბლი (0,95 ევრო); 225-250 ცხ.ძ. – 75 რუბლი (1,09 ევრო); 250 ცხ.ძ. -ზე მეტი 150 რუბლი (2,2 ევრო).

გარდა ამისა, არსებობს ე.წ. ფუფუნების გადასახადი, რომელიც ემატება აღნიშნულ გადასახადს. თუ ავტომობილის ფასი არის 3 მილიონ რუბლზე (44 ათასი ევრო) მეტი, ის იბეგრება ფუფუნების გადასახადით. ფუფუნების გადასახადი გამოისახება კოეფიციენტებში, რომელზეც მრავლდება ტრანსპორტის გადასახადის თანხა და მიიღება სრული თანხა. 3-5 მილიონის (44000-73000 ევრო) ღირებულების ავტომობილი, რომლის წლოვანება არ აღემატება 1 წელს, ენიჭება 1,5 კოეფიციენტი. იგივე ღირებულების ავტომობილს, თუ მისი წლოვანება არ აღემატება 2 წელს, ენიჭება 1,3 კოეფიციენტი, ხოლო თუ არ აღემატება 3 წელს - 1,1 კოეფიციენტი. თუ ავტომობილის ღირებულებაა 5-დან 10 მილიონ რუბლამდე (73000-146000 ევრო), და 5 წელზე მეტი წლოვანების

არაა, ფუფუნების კოეფიციენტი ენიჭება 2. თუ ავტომობილის ღირებულება 10 მილიონ რუბლზე (146000 ევრო) მეტია და წლოვანება არ აჭარბებს 10 წელს, ენიჭება კოეფიციენტი 3.

უკრაინაში სატრანსპორტო გადასახადს იხდის პირები, რომლის საკუთრებაში მყოფი ავტომობილები წლოვანებით არ აღემატება 5 წელს და საშუალო საბაზრო ღირებულება აღემატება მინიმალურ შრომით ანაზღაურება 750-ჯერ. ამჟამად მინიმალურ ხელფასად განსაზღვრულია 1378 გრივნა (50 ევრო). ანუ ავტომობილის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 37500 ევროს. გადასახადის ოდენობად დადგენილია 25 ათასი გრივნა (904 ევრო) ყოველწლიურად. მეორადი ავტომობილების ღირებულება გამოითვლება უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული მეთოდით, რომელიც ითვალისწინებს ავტომობილის მარკას, მოდელს, გამოშვების წელს, ძრავის სახეობას, ძრავის ცილინდრების რაოდენობას, გადაცემათა კოლოფის ტიპს, ავტომობილის გარბენს.

ბელორუსიაში ტრანსპორტის გადასახადს ექვემდებარება ყველა ავტომფლობელი. ეს არის ე.წ. საგზაო მოძრაობაში მონაწილეობის უფლება, რომლის მისაღებად ყველა ავტომფლობელი ვალდებულია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი. მსუბუქ ავტომობილზე ბაჟის საბაზო ერთეულად დადგენილია ციფრი 3, რაც უდრის 630 ათას ბელორუსულ რუბლს (296 ევრო). თუ ავტომობილი 10 წელზე მეტი ხნისაა, მფლობელი ტრანსპორტის გადასახადს იხდის წელიწადში ერთხელ, ხოლო თუ 10 წელზე ნაკლებია - წელიწადში ორჯერ.

აქციზის გადასახადი მოპოვებულ და იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე, აირზე და თამბაქოს ნაწარმზე ევროკავშირის ქვეყნებში

ევროკავშირის წევრ 28 ქვეყანაში აქციზის გადასახადი ნავთობპროდუქტებზე, აირზე და თამბაქოს ნაწარმზე რეგულირდება ევროკავშირის დირექტივებით „ენერგოპროდუქტების დაბეგვრის შესახებ“ (The Energy Taxation Directive (2003/96/EC; 2004/74/EC) და „თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და საპროცენტო განაკვეთის შესახებ“ (Council Directive 2011/64/EU of 21 June 2011 on the structure and rates of excise duty applied to manufactured tobacco). „ენერგოპროდუქტების დაბეგვრის შესახებ“ ევროკავშირის დირექტივის მიხედვით ნავთობპროდუქტებისა და აირის სახეობებზე დადგენილია აქციზის გადასახადის განაკვეთის მინიმალური ოდენობა. მაგალითად, ნავთობპროდუქტების შემთხვევაში 1000 ლიტრი ეთილირებული ბენზინის აქციზის განაკვეთი არის 421 ევრო, 1000 ლიტრი არაეთილირებული ბენზინისა 359 ევრო, 1000 ლიტრი დიზელის საწვავისა და ნავთის - 330 ევრო, 1 ტონა მაზუტის - 15 ევრო. ხოლო აირის სახეობების შემთხვევაში 1 გიგაჯოული¹ ბუნებრივი აირის აქციზის გადასახადის განაკვეთი 2,6 ევროა, 1 ტონა თხევადი აირისა კი 125 ევრო. გარდა დირექტივებისა აქციზის გადასახადი ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობებით, რომლის მიხედვითაც თითოეული ქვეყანა თავად ადგენს აქციზის გადასახადის განაკვეთს, რომელიც ან უტოლდება ან აღემატება დირექტივებით დადგენილ განაკვეთებს. რაც შეეხება თამბაქოს ნაწარმს (სიგარეტი, სიგარები, ყალიონით მოსაწევი, საღეჭი

¹ ბუნებრივი აირის შემთხვევაში ერთი გიგაჯოული უდრის 26 კუბურ მეტრ აირს.

თამბაქო და ა.შ) ევროკავშირის ქვეყნებში აქციზის გადასახადი დაწესებულია როგორც 1000 ლერ სიგარეტზე, ასევე კილოგრამ თამბაქოზე.

ნავთობპროდუქტების ბუნებრივი აირისა და თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთები

აქციზის გადასახადის განაკვეთი ნავთობპროდუქტების, აირისა და თამბაქოს ნაწარმის სახეობების მიხედვით²

ქვეყანა	ეთილირე ბული ბენზინი (1000 ლიტრი/€)	არაეთილირე ბული ბენზინი (1000 ლიტრი/€)	დიზელის საწვავი (1000 ლიტრი/€)	ნავთი (1000 ლიტრი/€)	მაზუთი (1ტონა/€)	ბუნებრივი აირი (გიგაჯოული/€)	თხევადი აირი (1ტონა/€)	სიგარეტი 1000 ღერზე/€	სიგარეტი 1000 ღერზე, კილოგრამზე ³ /€	ყალიონით მოსაწევი თამბაქო კილოგრამზე ³ /€
ბელგია	643	619	480	632	16	გათავისუფლებულია გადასახადისაგან	გათავისუფლებულია გადასახადისაგან	36,90	0	23,7
ბულგარეთი	424	363	330	330	207	0,430	173	----- ⁴	138,05	77,72
ჩეხეთი	504	472	402	402	17	0,7	143	46,91	60,35	78,83
დანია	725	611	416	465	372	11,46	519	-----	67,02	105,69
გერმანია	721	669	485	654	25	3,86	180	98,20	14	48,49
ესტონეთი	465	465	448	330	58	-----	125	-----	211	65,88
საბერძნეთი	681	670	330	330	38	გათავისუფლებულია გადასახადისაგან	330	82,50	-----	156,70
ესპანეთი	457	424	331	330	15	1,15	57	-----	-----	22
საფრანგეთი	673	641	498	455	68	1,05	139	48,75	19	67,5
ხორვატია	589	505	400	348	20	გათავისუფლებულია გადასახადისაგან	13	27,49	78,53	291,6
ირლანდია	587	587	479	479	77	2,6	176	255,69	315,3	218,7
იტალია	728	728	617	337	63	0,09	267	13,09	-----	-----
კვიპროსი	421	479	450	450	15	2,6	125	-----	90	-----
ლატვია	455	436	341	341	15	2,6	206	51,80	42,69	58
ლიტვა	579	434	330	330	15	6,5	304	48,08	29,54	54,16
ლუქსემბურგი	516	464	338	330	15	გათავისუფლებულია გადასახადისაგან	101	-----	-----	12,50
უნგრეთი	*5	383	352	397	15	2,6	306	40,28	-----	44,76

² ცხრილში მოცემული აქციზის განაკვეთები მოყვანილია ევროკომისიის 2016 წლის 1 ივლისის კვლევიდან „აქციზის განაკვეთების შესახებ“

http://ec.europa.eu/taxation_customs/sites/taxation/files/resources/documents/taxation/excise_duties/energy_products/rates/excise_duties-part_ii_energy_products_en.pdf

http://ec.europa.eu/taxation_customs/sites/taxation/files/resources/documents/taxation/excise_duties/tobacco_products/rates/excise_duties-part_iii_tobacco_en.pdf

³ კვიპროსში, ლიტვაში და პოლონეთში აქციზის გადასახადი დაწესებულია კილოგრამ თამბაქოზე.

⁴ ინფორმაცია ინფორმაცია არ იძებნება.

მალტა	678	549	472	472	39	გათავისუფლებულია გადასახადისაგან	125	92,50	24,33	115,64
ნიდერლანდები	857	770	484	484	36	7,14	336	173,97	-----	78,00
ავსტრია	554	482	397	397	60	1,6	261	40	-----	-----
პოლონეთი	*	393	343	429	15	2,5	195	48,70	92,56	33,28
პორტუგალია	527	671	456	353	36	3	270	59,77	-----	78
რუმინეთი	527	460	429	478	16	2,8	137	59,77	68,67	86,91
სლოვენია	*	547	472	330	70	3,4	177	68,73	-----	40
სლოვაკეთი	*	550	386	481	111	2,6	182	-----	71,11	71,11
ფინეთი	*	681	506	740	221	4,8	249	33,50	-----	28,50
შვედეთი	759	482	592	592	253	6,4	359	161,06	140,79	195,51
დიდი ბრიტანეთი	787	787	674	674	124	6,5	367	-----	332,58	268,90

⁵ უნგრეთში, პოლონეთში, სლოვენიაში, სლოვაკეთში და ფინეთში ეთილირებული ბენზინის გაყიდვა არ ხდება.

**აქციზის გადასახადის განაკვეთები ნავთობპროდუქტებზე, აირზე და
თამბაქოს ნაწარმზე საქართველოში**

ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა)				თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)		
		მოქმედი საგადასახადო კოდექსით	ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტით		მოქმედი საგადასახადო კოდექსით	ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტით
აირის კონდენსატი ბუნებრივი	1000 მ3	80	200	სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით (1 ლერი)	1.3	1.9
ბუნებრივი აირი (გათხევადებული)	1000 მ3	80	200	სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით (20 ლერი)	1.5	2.2
პროპანი				ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით (20 ლერი)	1.1	1.70
	1 ტ	120	120			
ბუტანები				უფილტრო სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით (20 ლერი)	0.3	0.6
	1 ტ	120	120			
ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი და ბუტადიენი	1 ტ	120	120	ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისათვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად (1კგ)	25	35
დანარჩენი	1 ტ	120	120	დანარჩენი (1კგ)	25	35
ბუნებრივი აირი (აირისებრ მდგომარეობაში)	1000 მ3	80	200	სადეკი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო (1კგ)	25	35
ნავთობპროდუქტები, ნავთობის დისტილატები და						

ნამუშევარი ნავთობპროდუქტები						
მსუბუქი დისტილატები და პროდუქტები	1 ტ	250	500			
გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	220	440			
ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 110 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	220	440			
რეაქტიული სათბობი	1 ტ	220	440			
დანარჩენი	1 ტ	220	440			
დანარჩენი	1 ტ	220	440			
გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	150	400			
ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 310 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	150	400			
გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას.%- ისა	1 ტ	150	400			
გოგირდის შემცველობით 0,05 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას.%-ისა	1 ტ	150	400			
გოგირდის შემცველობით 0,2 მას.%-ზე მეტი	1 ტ	150	400			

გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	400	800			
ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 710 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	400	800			
ძრავას ზეთები, კომპრესორის საპოხი ზეთი, ტურბინის საპოხი ზეთი	1 ტ	400	800			
სითხეები ჰიდრავლიკური მიწნებისათვის	1 ტ	400	800			
ღია ფერის ზეთები, ვაზელინის ზეთი	1 ტ	400	800			
ზეთი კბილანებისათვის და ზეთი რედუქტორებისათვის	1 ტ	400	800			
ლითონების დასამუშავებელი შედგენილობები, ფორმების გასაპოხი ზეთები, ანტიკოროზიული ზეთები	1 ტ	400	800			
ელექტრული საიზოლაციო ზეთები	1 ტ	400	800			
დანარჩენი საპოხი ზეთები და ზეთები დანარჩენი	1 ტ	400	800			
გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას. %-ისა	1 ტ	150	400			
გოგირდის შემცველობით 0,05	1 ტ	150	400			

მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას.%-ისა						
გოგირდის შემცველობით 0,2 მას.%-ზე მეტი	1 ტ	150	400			
დანარჩენი	1 ტ	400	800			
პოლიქლორბიფენილების, პოლიქლორტრიფენილების ან პოლიბრომბიფენილების შემცველობით	1 ტ	400	800			
ნამუშევარი ნავთობპროდუქტები – ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ტანკის (ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების) ნარეცხი	1 ტ	50	100			
ნამუშევარი ნავთობპროდუქტები დანარჩენი	1 ტ	400	800			

მასალა მოამზადეს ეკატერინე აბაშიშვილმა და სოლომონ სონღულაშვილმა

08.12.16

გამოყენებული წყაროები:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის კანონის პროექტი
<http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/136456?>

3. EXCISE DUTY TABLES

http://ec.europa.eu/taxation_customs/sites/taxation/files/resources/documents/taxation/excise_duties/energy_products/rates/excise_duties-part_ii_energy_products_en.pdf

4. The Energy Taxation Directive 2003/96/EC

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32003L0096:en:HTML>

5. The Energy Taxation Directive 2004/74/EC

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2004:157:0087:0099:en:PDF>

6. EXCISE DUTY TABLES MANUFACTURED TOBACCO

http://ec.europa.eu/taxation_customs/sites/taxation/files/resources/documents/taxation/excise_duties/tobacco_products/rates/excise_duties-part_iii_tobacco_en.pdf

7. Importing a Car Into Germany

<http://www.howtogermy.com/pages/import-car.html>

8. Как растаможить автомобиль в Испании?

<http://www.espanarusa.com/ru/pedia/article/565747>

9. ТАМОЖЕННЫЕ ПОШЛИНЫ НА ЛЕГКОВЫЕ АВТОМОБИЛИ ДЛЯ ФИЗИЧЕСКИХ ЛИЦ

<http://www.customstax.ru/page/tax/Pkw.php>

10. Таблица таможенных пошлин на легковые автомобили

<https://www.drive2.ru/b/16287/>

11. растаможка легковых автомобилей

<http://www.autoconsulting.com.ua/article.php?sid=36490>

12. Парламент Азербайджана утвердил повышение акцизов на импортируемые автомобили

<http://interfax.az/view/628328>

13. Налоговый кодекс Азербайджанской Республики

<http://www.taxes.gov.az/modul.php?name=qanun&cat=3>

14. Акцизы на импорт автомобилей

https://monitorul.fisc.md/editorial/akcizy_na_import_avtomobiley_mogut_snizitsya_a_stoimost_vineto_k_-_vyrasti.html

15. Налоговый сюрприз от правительства: Акцизы на автомобили снизятся, а виньетка подорожает

<http://www.jurnal.md/ru/economic/2016/6/14/nalogovyj-surpriz-ot-pravitel-stva-akcizy-na-avtomobili-snizatsa-a-vin-etka-podorozaet/>

16. Ставки таможенных пошлин для физических лиц

http://auto.tut.by/custom_dues#tam_stavka

17. The European Automobile Manufacturers' Association - MOTOR VEHICLE TAXES IN THE EU IN 2016

http://www.acea.be/uploads/publications/CO2_tax_overview_2016.pdf

18. Таможенный кодекс Таможенного союза (ТК ТС) 2016

<http://tktsrf.ru/razdel-7/glava-49>

19. Приказ ФТС РФ от 21.02.2012 N 302 "Об установлении фиксированных сумм обеспечения уплаты таможенных пошлин, налогов в отношении подакцизных товаров"

http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_127774/

20. Закон №3251 о снижении акцизов на подержанные авто

http://w1.c1.rada.gov.ua/pls/zweb2/webproc4_1?pf3511=56718

21. ЗАКОН РЕСПУБЛИКИ АРМЕНИЯ О НАЛОГЕ НА ДОБАВЛЕННУЮ СТОИМОСТЬ
<http://www.parliament.am/legislation.php?sel=show&ID=1607&lang=rus#2>
22. ЗАКОН РЕСПУБЛИКИ АРМЕНИЯ О таможенном регулировании
http://www.translation-centre.am/pdf/Trans_ru/НН_Orenq/2014_НО_241_N_ru.pdf
23. ЗАКОН РЕСПУБЛИКИ АРМЕНИЯ О НАЛОГЕ НА ИМУЩЕСТВО
<http://www.parliament.am/legislation.php?sel=show&ID=1917&lang=rus#2>
24. Как рассчитывается транспортный налог на машину в 2016-2017 году <http://zakon-auto.ru/info/nalog.php>
25. налоговый кодекс российской федерации
http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_28165/b407a1541ff1af46d75cc967560e045bb89767e4/
26. Справочная информация о ставках и льготах транспортного налога в Москве
<http://calcs.su/html/calcs/region/moscow.html>
27. Налог на Роскошь на автомобили <http://dp-auto.ru/faq/nalog-na-roskosh-avtomobili>
28. налоговый кодекс украины
<http://www.profiwins.com.ua/ru/legislation/kodeks/1361.html>
29. Налоговый кодекс Республики Беларусь <http://xn----7sbgdhgzjccuobe2c0j.xn--90ais/>
30. Транспортный налог <http://myfin.by/wiki/term/transportnyj-nalog>